მოსამართლეობის კანდიდატის თანხმობა

კვალიფიკაცია, კომპეტენცია, პირადი და პროფესიული კეთილსინდისიერება

ვაღიარებ და ვადასტურებ, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წარმომადგენლებს უფლება აქვთ გადაამოწმონ მოსამართლეობის კანდიდატობის თაობაზე ჩემი განაცხადით წარდგენილი ინფორმაციისა და სხვა დოკუმენტაციის სიზუსტე და სისრულე.

ვეთანხმები და ვადასტურებ, რომ საბჭოს გააჩნია ჩემი კეთილსინდისიერებისა და პროფესიული კვალიფიკაციის სრულყოფილი გამოკვლევის ვალდებულება ჩემი პირადი და პროფესიული ღირსების პატივისცემის დაცვით.

ვეთანხმები და ვადასტურებ, რომ ასეთი გამოკვლევის განხორციელებისას, საბჭოს წარმომადგენლები შეიძლება დაუკავშირდნენ და გაესაუბრონ სხვადასხვა პირებს, მათ შორის, ყოფილ და ამჟამინდელ კოლეგებსა და თანამშრომლებს, დამქირავებლებს, ყოფილ და ამჟამინდელ სამუშაო ხელმძღვანელებს, საბანკო დაწესებულებებს, სხვა საფინანსო ინსტიტუტებს, სახელისუფლო დაწესებულებებისა და დისციპლინური ორგანოების აპარატის მოხელეებს, სამართლის პედაგოგებსა და სხვა პირებს, რომლებიც სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ამა თუ იმ ინსტიტუტებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, რომლებიც მოხსენიებული მაქვს წინამდებარე განაცხადში, ასევე გამოითხოვონ ჩემი ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია იმ სამეწარმეო სუბიექტისგან, რომელიც საქმიანობს საკრედიტო ინფორმაციის სფეროში.

მე სახელდებით ვაძლევ საბჭოს და მისი სახელით მოქმედ კომპეტენტურ პირებს ნებართვას, დაუკავშირდნენ და ინტერვიუ ჩამოართვან ყველა იმ პირს, რომლებიც საბჭოს შესაბამისად მიაჩნია ჩემი კვალიფიკაციის, კომპეტენციისა და პატიოსნების გამოსაკვლევად. მე სპეციალურად ვრთავ ნებას ყველა პირს, გულწრფელად უპასუხოს ყველა დასმულ შეკითხვას და უზრუნველყოს ყველა მოთხოვნილი ინფორმაცია იმის მიუხედავად, არის თუ არა ეს ინფორმაცია პერსონალური ან კონფიდენციალური.

კონფიდენციალურობა

ვეთანხმები და ვადასტურებ, რომ ჩემი განაცხადის მხარდასაჭერად წარდგენილი ინფორმაცია და დოკუმენტები, ისევე როგორც საბჭოს მიერ გამოკვლევის შედეგად მოძიებული ინფორმაცია, ასევე სხვა პირებისა თუ დაწესებულებების მიერ საბჭოსათვის გადაცემული ინფორმაცია იქნება კონფიდენციალური და მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ სამოსამართლო თანამდებობაზე ჩემი შესატყვისობის შემოწმების მიზნით, რომლის დასაკავებლადაც მე საბჭოს მივმართე.

მე ასევე ვეთანხმები, რომ საბჭო მიიღებს ყველა საჭირო ზომას ჩემი პერსონალური მონაცემების დასაცავად, სულ მცირე იმ ხარისხით, რომელიც გამომდინარეობს პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისაგან ინდივიდების დაცვის თაობაზე ევროპული კონვენციის პრინციპების გამოყენებიდან, და რომ მხოლოდ საბჭოს წევრებსა და მისი მხრიდან სათანადოდ ავტორიზებულ პირებს ექნებათ ჩემი პერსონალური მონაცემებისადმი ხელმისაწვდომობა.

ხელმოწერა: _____

თარიღი: _____